№ 258
სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 258
სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი
საქართველოს ... ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

მოსკოვის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ

I

**შემშლილია**

კომედია-დრამა 2 მოქმედ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

**ძუნწი**

კომედია 2 მოქმედ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნიჟიერიძისა, გარელი, ჯავახიშვილისა, აბხაზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი**

---

## ქ. ქუთაისში

**კბილის ექიმი**

## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—22)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

---

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—48)


**ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გენერალ-მაიორი საგინაშვილი** აცხადებს, რომ მომავალ დეკემბრის 18 **მოხდება მაზრის თავად-აზნაურთა კრება** ტფილისს, დეპუტატთა საკრებულოს სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლში.

ამასთან წინამძღოლი სთხოვს მაზრის თავად-აზნაურთ კრების დაწყებამდე წარადგინონ დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში დამამტკიცებელი საბუთები იმისი, რომ არჩევნებსა და საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ. (3—6.—1)

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა ახალ-ბაიაზეთის მე-263 ქვეითა სათადარიგო რაზმის პორუჩიკი ქავთარაძე საზღვრის დარაჯთა ცალკე კორპუსში.

ებოძათ კოლეჟსკი სეკრეტრობა გუბერნსკი სეკრეტარს პალატის ბუჰგალტერის თანაშემწეს ელიაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა დუშეთის სამაზრო ხაზინის ბუჰგალტერის თანაშემწეს ლუარსამიძეს და საგუბერნიო ხაზინის კანცელარიის მოსამსახურეს ლანდიას.

დანიშნულ იქმნენ: ალექსი ნონაძე, კონსტანტინე იოსელიანი და ბიქტორ ბახტაძე ფოსტალიონებად ნონაძე და ბახტაძე ალექსანდროპოლისა, ხოლო იოსელიანი ყაგიზმანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.

## ახალი ამბავი

*** 28—29 ნოემბერს, ნაშუალამევის ორ საათზედ, კიროჩნისა და ელისაბედის ქუჩების კუთხეში ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი ამიერ-კავკა-

## ფელეტონი

### მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

ათონის ძველი ივერიის მონასტერი და ახალი ქართველთა სავანე და მათი ურთიერთა შორისი დამოკიდებულება.

6 ივლისს, დილის 7 საათზედ, ადრიან, წირვის მოსმენის შემდეგ, გავემგზავრე პანტელეიმონის მონასტრის ჯორებითა და ერთი მსახურის თანამგზავრობითა. მივედით პირდაპირ ჩვენ ქართველთა ძმათა ახლად დაფუძნებულს სავანეში. მომეგებნენ ყოველნივე ძმანი ჭეშმარიტის ძმობრივის სიყვარულითა; გაიხარეს სულიერად ჩემის მისვლით და გავიხარე მეც ფრიად უცხოებაში ასეთის მოგებებით. როდესაც ვიხილე ქართველთა ძმათა შორის მშვიდობა, სიყვარული, პატივისცემა, მორჩილება და საზოგადოდ კეთილი განწყობილება ურთიერთა შორის, გამახსენდა სახარების სიტყვანი: „ნუ გეშინიან მცირესა მაგას სამწყსისა, რამეთუ სათნო იყო მამაი ზეცათამან მოცემად თქვენდა სასუფეველი“. (ლუკ. 12, 32). ასე ეტყოდა უფალი იესო ქრისტე მოწაფეთა თვისთა, რიცხვით მცირეთა, გარნა სიყვარულის საკრველით შეერთებულთა, ეტყოდა მათ გასამხნევებლად და სანუგეშებლად.

ამ ქართველთა ძმათ შეუსყიდნიათ ივერიის მონასტრისაგან 1860 წლ. ორმოცი ეღიური მიწა 2,000 მანეთად; და აქ დაუფუძნებიათ ახალი სავანე. ივერიის ათონის მონასტერი, ქართველთა მამათა სამკვიდრებელი, არს აღშენებული მეათე საუკუნის დასასრულ თორნიკე ერისთავის მეთაურობით, ქართველთა მეფეთა და მთავართა საფასეთი და შემოწირულებითა, ქართველთა მამათა შრომით, რუდუნებითა, მოღვაწეობითა და სისხლის ოფლით დამყარებული. ამ ივერიის სავანეში დასრულდა თარგმანი საღმრთო და საეკკლესიო წიგნებისა, იგი იყო ნერგი სასულიერო განათლებისა ქართველის ერისათვის; ამ ივერიის მონასტერს ძალ-მომრეობით აწ ჰფლობენ ბერძენთა მონაზონნი. 1850 წლების შემდეგ ეს მონასტერი ითვლება ათონის მთაზედ პირველ ხარისხოვნად ოთხ სხვა ბერძენთა მონასტერთა შორის. მონასტერს აქვს შეწირული საქართველოსა და რუსეთშიაც მდიდარი შემოსავლიანი მამულები, რომლითაც ჰსარგებლობენ ბერძნები სრულიად უკანონოდ, ძალმომრეობით. ამავე ივერიის მონასტერში ასვენია საკვირველ-მოქმედი ხატი ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა, წოდებული ივერიის კარის ღვთის-მშობლად. ეს ხატი ზღვიდგან გამოასვენა ღირსმა მამამ გაბრიელ ქართველმა. სადაც პირველად დაუსვენებიათ, ზღვიდგან გამოტანის შემდეგ, იმ ადგილზედ აღშენებულია სამლოცველო და წყარო ცივის წყალისა.

7 ივლისს, დილის 4 საათზედ, მივადექით ივერიის მონასტრის ეზოს კარებზედ. იგი შემოზღუდულია მაღალის ქვითკირის გალავნითა და ზღვის მხარეს მაღალი ექვს-სართულიანი ციხე აქვს აშენებული ქართველთა მამათა მიერ, მტერთაგან მოსაგერებლად. გაალეს ბჭენი ეზოისა; ჩემთან იყვნენ ამ დროს ქართველთა სავანეს ძმანი: მღვდელ-მონაზონი გიორგი, კაცი დიდად გამოცდილი სულიერს მოღვაწეობაში და მხცოვანი წლოვანობითა; მღვდელი ალექსი ბაქრაძე, აგრეთვე მოხუცებული, მაგრამ შრომით ჭაბუკი მოხუცი, დიდი მშრომელი წმ. მამათა თხზულებათა გადაწერისა და მთარგმნელი რუსულიდგან ქართულად, და მონაზონი გაბრიელ (აბაშიძე), ჯერ წლოვანებით ახალგაზრდა, გარნა განვითარებული და მცოდნე ბერძნულის ენისა. მორიგე მეკარე მონაზონმა ბერძენმა იჭვნეულად შემოგვხედა და ჰკითხა მ. გიორგის, ვითომც ვერ იცნო: ვინა ხართ? რა გინდათ? ეს სიტყვები გვითარგმნა მამა გაბრიელმა. ქართველთა ძმათა ახალი სავანე მდებარეობს ივერიის მონასტერზედ სამის ანუ ოთხის ვერსის მანძილზედა, მაშასადამე ესენი კარგად იცნობენ ერთმანეთს. მ. გიორგიმ უჩვენა ჩვენზედა, რომ მოსულა საქართველოდგან და ჰსურს თაყვანი-სცეს კარის ღვთისმშობლის ხატსაო. უფრო უსიამოვნოდ შემოგვხედა მონაზონმა და არ უნდოდა ჩვენი შეყვანა ეკკლესიის ეზოში. არ მიჰბაძა მან ამ შემთხვევაში ლაბანს, რაჟამს მოეგება იგი ელეაზარს მონასა მამამთავრის აბრაამისსა და უთხრა: შემოვედ კურთხეულო უფლისა მიერ სახლსა ჩემსა, რასათვის სდგეხარ გარე? მომიბრუნდა მ. გიორგი და მითხრა მე: მ. დეკანოზო! რა უყავ შენი ჯვარი? რათ ჰფარავ ანაფორას ქვეშ? გავიხსენ ზევითი ანაფორა და როდესაც დაინახეს ბერძენთა მონაზონთა მკერდზედ ჯვარი, ამას სცეს პატივი და შეგვიყვანეს ეზოში. მოვისმინეთ ადრე წირვა, თაყვანი ვეცით ივერიის ღვთის მშობლის ხატსა და ვილოცეთ წინაშე საფლავისა წმ. მამათა იოანნე და ევთიმისა. წირვაზედ პატივი არა გვცეს და არა გვთხოვეს სიმბოლო სარწმუნოებისა და საუფლო ლოცვის წაკითხვისა ქართულს ენაზედ, ვითარცა აქვთ მიღებულ წესად სხვა მონასტრების ბერძენთა, ბოლგართა და მოლდავანთა წირვის დროს. შემდეგ შეგვიყვანეს მონასტრის წინამძღვართან, მ. არქიმანდრიტ გერასიმესთან. ამას ტფილისში დიდხანს უმსახურნია; გამომკითხა ამბავი საქართველოს სამღვდელოებისა, ვისაც იცნობდა. ვთხოვე მისს მაღალ ღირსებას, რომ გვიჩვენონ მონასტრის საუნჯენი და წიგნთ-საცავი, ქართველთა მამათა მოღვაწეობის ნაყოფნი. წინამძღვარი დამპირდა შესრუ-

*) იხ. „ივერია“ № 256.

სიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსს ბ-ნ იზმაილოვს თავს დაესხნენ და იმის მოკვლა განიზრახეს. აი, საქმე როგორ მომხდარა. ამას წინად იზმაილოვმა შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: „იმედი მაქვს ამ ახლო მომავალში ჩემთან საუზმეზედ განახავთ. კორში". ამ წერილს იზმაილოვმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მხოლოდ ამ წერილის მიღების შემდეგ თავის სადგომის კარებთან ქუჩაზე ღამ-ღამობით ხშირად ჰხვდებოდა სამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ კაცს, რომელნიც ხან დადიოდენ, ხან კიდევ ერთ ადგილას იდგნენ ხოლმე. იზმაილოვმა არც ამას მიაქცია ყურადღება.

28 ნოემბერს ნაშუაღამევის პირველ საათზედ ელისაბედის ქუჩაზედ, საგინოვის სახლის წინ, სადაც ბ-ნი იზმაილოვი სცხოვრობს, გაიარა ბ-ნმა კარამოსკომ და დაინახა, რომ იზმაილოვის სადგომის კარებთან ვიღაც ჩოხაში გამოწყობილი კაცი ატუზულიყო, კარამოსკო მეორე მხარეს გადავიდა, მაგრამ აქაც ორი ნაბდებში შეხვეული კაცი დაინახა, რომელნიც ფიცრულს ამოფარებოდნენ; ერთს მათგანს ბერდანკა ეჭირა. როდესაც კარამოსკომ წინ გაუარა, ერთმა მეორეს ჩურჩულით უთხრა: „გამოდის, გამოდისო!" ამ კაცების ლაპარაკი და საქციელი კარამოსკოს საეჭვოდ მოეჩვენა, ამიტომ უკან დაბრუნდა კიროჩნის ქუჩაზედ; იქ სამი პოლიციელი ნახა, უამბო ყველაფერი, ფაიტონში ჩაისხა და ელისაბედის ქუჩაზედ წავიდა.

ამავე დროს-კი იზმაილოვის სადგომის კარებთან შემდეგი ამბავი მოხდა: იზმაილოვი, მივიდა რა ეტლით სახლთან, გადმოხტა, ფული მისცა მეეტლეს და ზარი ჩამორეკა. ამ დროს დამალული კაცი გამოვიდა თავისს საფარიდგან და იზმაილოვისაკენ წავიდა, მივარდა, რევოლვერი ამოიღო და იზმაილოვს დაუმიზნა. საბედნიეროდ, კარები გაუღიათ და იზმაილოვი სახლში შევარდნილა და კარებიც თან მოუხურნია. იმ დროს, როდესაც კარამოსკო პოლიციელებით საგინოვის სახლთან მისულა, სამივე კაცი კარებთან იდგა და კარების გაღებას სცდილობდა. ერთმა პოლიციელმა ხელი სტაცა ერთ ბოროტ-გამზრახველთაგანს. მეორე ბოროტ-გამზრახველმა თოფი დაუმიზნა პოლიციელს. კარამოსკომ გამოსტაცა პოლიციელს ხმალი და ხელში დაარტყა იმ ბოროტ-გამზრახველს, რომელიც თოფის გასროლას აპირებდა, რის გამო ტყვია პოლიციელს ასცდა. ამავე დროს მესამე ბოროტ-გამზრახველმა ამოიძრო ხანჯალი და ხელში დასჰკრა პოლიციელი. ამ დროს დაჭერილი ბოროტ-გამზრახველი ხელიდგან გაუსხლტა პოლიციელებს და ელისაბედის ქუჩაზედ გაიქცა, ხოლო ორი იმის ამხანაგი—კიროჩნის ქუჩაზედ. საგინოვის სახლის წინ მათ დარჩათ ნაბადი და ყაბალახი. პოლიციელნი ეტლით ამ უკანასკნელთ დაედევნენ და დაეწივნენ ანდრიას ქუჩის კუთხეში, აქ ყვირილი და სტვენა დაიწყეს. ბოროტ-განმზრახველნი თან მირბოდნენ რკინის გზის სადგურისაკენ და თან რევოლვერებსა და თოფებს ესროდნენ პოლიციელებს. სულ 18-ჯერ გაისროლეს. პოლიციელებს მოუწადინიათ რევოლვერების გასროლა, მაგრამ არც ერთი არ გავარდნილა.

სტვენასა და ყვირილზედ მალაკნის შერემეტიევის სახლიდგან გამოვარდა მოჯამაგირე ამისა იური ტოლმანუსი და ერთ ბოროტ-გამზრახველს გამოუდგა, მაგრამ ამ უკანასკნელმა რევოლვერი ესროლა და იქვე წააქცია ტოლმანუსი. ვიდრე პოლიციელნი სასიკვდილოდ დაჭრილ ტოლმანუსს უვლიდნენ, ბოროტ-განმზრახველნი სადღაც დაიმალნენ.

⁂ გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის მოურავს ტფილისის ეტლების პატრონთა თხოვნა სავალდებულო საეტლო დადგენილებათა გადასინჯვისა და შეცვლის შესახებ და წინადადება მისცა: საჩქაროდ გადასინჯეთ, შეავსეთ და შესცვალეთ ეს დადგენილებანი და აგრეთვე ყველა ის სავალდებულო საეტლო დადგენილებანიც, რომელნიც გამოცემულ იქმნა ტფილისში საქალაქო დებულების შემოღებამდეო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა შესაძლებელად სცნო დაარსებულ იქმნას ტფილისში ხმალში ვარჯიშობის კურსები.

⁂ საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს მიეცა 10,000 მან. ზედ მეტი კრედიტი სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების შესანახ-დასაარსებლად.

⁂ ტფილისის სამკურნალო გამგეობაში ლაპარაკია აღძრული გუბერნიაში ყვავილის აცრის გაძლიერების შესახებ.

⁂ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის გოფმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე პეტერბურგს გაემგზავრა.

⁂ საერო განათლების მინისტრმა ნება დართო მომატებულ იქმნას სწავლის გარდასახადი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში 40 მანეთიდგან 60 მანეთამდე მთავარ კლასებში და 50 მანეთამდე მოსამზადებელ კლასებში.

⁂ გზათა მინისტრმა ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს წესიერი მიმოსვლა დაადგინოს ყარსის რკინის გზაზედ ტფილისსა და გუმბრს შუა.

⁂ ხვალ, 1 დეკემბერს, სახაზინო თეატრში საოპერო წარმოდგენა გაიმართება მოსკოვის უნივერსიტეტის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

⁂ საქართველოს სამხედრო გზაზედ 28 ნოემბერს კობსა და ჯვარს შუა დიდის თოვლის გამო მიმოსვლა შესწყდა, ხოლო შუადღის 1-ლ საათზედ სამარხილო გზა გაიხსნა და რუსეთის ფოსტამ და მგზავრებმა გამოიარეს. ყაზბეგისაკენ გზა გახსნილია.

⁂ დამტკიცებულ იქმნა წესდებანი ზუგდიდის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა და ბაქოს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა.

⁂ ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ 26 ნოემბერს, სხვათა შორის, დაადგინა: ძალაში დარჩეს ქ. თელავის რწმუნებულთა დადგენილება ქალაქის მამასახლისთა და მის თანაშემწეს შორის თანამდებობის განაწილების შესახებ, იმ თანამდებობის გარდა, რომელიც შეეხება სახელმწიფო გარდასახადისა და დარჩენილ საკომლო გარდასახადის აკრეფას; გაუქმებულ იქმნას ქ. დუშეთის რწმუნებულთა კრების დადგენილება კრებაზედ მოუსვლელობისათვის რწმუნებულის მარტიროსოვის დაჯარიმების შესახებ; არ იქმნას შეწყნარებული ქ. სიღნაღის რწმუნებულთა შუამდგომლობა ქალაქის სათადარიგო თანხიდგან საფოსტო გზის შესაკეთებლად ფულის გადადების შესახებ, ხოლო იმ ხრამის გამაგრების საქმე, რომელთანაც საფოსტო გზა გაივლის, განსახილველად გარდაეცეს ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საერობო განყოფილებას; გაუქმებულ იქმნას ქ. სიღნაღის რწმუნებულთა კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ ამ ქალაქის ეკკლესიის მსახურთ გარდახდეთ მათზედ დარჩენილი დაფასების გარდასახადი.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია თხოულობს 654,280 მან. ერთ დროებით გზა-ტკეცილებისა და შარა-გზების გასაყვანად და შესაკეთებლად.

⁂ მცხეთიდგან იუწყებიან, რომ 28 ნოემბერს შუაღამისას დაიმტვრა საქონლის მატარებელი № 243 იმის გამო, რომ მთიდგან ჩამოვარდნილ დიდ ქვას რელსი გაეტეხნა და მატარებელი სწრაფად მიდიოდა და ორთქლ-მავალი ლიანდაგს გარდასცდა ყველა ბორბლებით. არავინ დაშავებულა. მატარებელი სამგან გაწყდა და დაზიანდა. გზა შეიკრა.

⁂ სოხუმს, ბაქოსა და ტფილისში გამართულ სამეურნეო გამოფენათა შემმოწმებელმა კომისიამ წარუდგინა კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას გამოფენილ ნაწარმოებთა დაფასება. ამ დღეებში განყოფილების წევრთა საერთო კრებას მოლაპარაკება ექნება ჯილდოების დანიშვნის შესახებ, რომელთა რიცხვი უდრის 15-ს.

⁂ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა რობიმ უპასუხა ქალაქის გამგეობას, რომ ბელგიის საზოგადოება ჰკისრულობს ცხენის რკინის გზის წარმოებას იმ პირობებით, რომელიც წარუდგინა მან ქალაქს შარშან, მაგრამ ამას გარდა იმ პირობითაც, რომ ქალაქმა კონცესიის ვადა ერთის წლით მოუმატოს საზოგადოებასო.

⁂ თიანეთი. ღვინო-არყით სავაჭრო დუქნები გაშენებულია აქ დიდის ქუჩის ორივე მხარეზედ, ეკკლესიისა და სამაზრო სამმართველოს შუა. დამთვრალის ხალხის ყვირილ-ხივილი და ლანძღვა გინება ხშირად მოისმის როგორც სამმართველოს ეზოში, ისე ეკკლესიაში. საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. კანონით 40 საჟ. მაინც უნდა იყოს დაშორებული სამიკიტნო დუქანი ეკკლესიაზედ; აქ-კი ბევრი სამიკიტნო 15—20—26 საჟენითაც არ არის დაშორებული. ისიც საყურადღებოა, რომ თითოეულს სამიკიტნოს ბაკიც აქვს, რის გამო საშინელი უსუფთაობაა შუა ბაზარში.

⁂ სოფ. ქარელი, (გორის მაზრა). სიხარულით და მოუთმენლად მოველოდით სამინისტრო ორ განყოფილებიან სასწავლებლის შენობის დასრულებას ჩვენში. კიდეც დამთავრდა ოქტომბრის პირველს რიცხვებში, მაგრამ სწავლის დაწყება ჯერ შეჩერებულია. სასწავლებლის შენობა ქვითკირისაა და ძალიან მშვენიერი არის. შენობა იყო გაცემული ასაშენებლად იჯარით ორას ორმოც თუმნად: ას-ოცი თუმანი ქარელის

---

ლებას ამ სალმრთო წადილისას.

წაგვიყვანეს წიგნთ-საცავში, რომელიც მეორე სართულშია. გვიჩვენეს ის წიგნები, რომელიც შკაფების თავზედ ეყარა, ნახევარზედ ჩრჩილით და მტვრით შეჭმულნი; მათ შორის მომეტებული ნაწილი დასტამბულია მე-18 საუკუნეში. როდესაც მიუთითე დაკეტილ შკაფზედ და ვთხოვე ეჩვენებინათ ის წიგნები, მაშინ მომიგეს პასუხად: აქ არ არის ამ შკაფების გასაღების მქონე; კარეაში წავიდა 12 ვერსზედა და არ ვიცით, როდის დაბრუნდებაო; შევწუხდი და ვუპასუხე: 6 ათასის ვერსის მანძილზედ მოვსულვარ აქ წიგნების სანახავად და პატივი უნდა სცეთ ამ გარემოებას, ანუ მეცნიერების საგანს, რისთვის მინდა წიგნების გადათვალიერება, ანუ პატივ-ეცით ჩემს მოხუცების და ხარისხსა. არ შეიძლება ეხლაო, მაინც უარი გამომიცხადეს, მეც, რა გამეწყობოდა, უნებლიედ დავმორჩილდი ამათ წინადადებას, რადგან დამპირდნენ წიგნების ჩვენებას ოთხის დღის შემდეგ. როგორც შემდეგ მითხრეს, წიგნების მცველიც იქა ყოფილიყო და გასაღებიც იქვე ჰქონოდათ, მაგრამ არ გამიღეს პირველს მისვლაზედ შკაფი, რადგანაც ჩვენის წამოსვლის შემდეგ მონასტრის ძმობას თათბირი ჰქონდათ და გარდაეწყვიტათ რის ჩვენება შეიძლებოდა და რა უნდა დაეფარათ ჩვენის თვალისაგან. დანიშნულის დროის წინა საღამოს გამოეგზავნათ ივერიის მონასტრიდგან მორჩილი ქართველი—სამეგრელოელი მაკარი, მხოლოობითი კაცი ჩვენის ქვეყნისა ივერიის მონასტერში. ამას მონასტრის გარეშე აქვს მიცემული სენაკი სასაფლაოს ეკკლესიასთან და მონასტრიდგან საზრდოობს; ეს მორჩილი წარმოეგზავნათ ჩემთან და დაებარებინათ, ხვალ ჩამოვიდეს მ. დეკანოზი და თან არავინ წამოიყვანოს ქართველთა სავანეს მღვდელ-მონაზონიო. აქედგან ცხადად დაინახავს ქართველი მკითხველი, თუ რა სიხარულით უყურებენ ბერძენნი ქართველთა ძმათა.

მეორე დილით ადრე, 11 ივლისს, კვისკრის დასრულების დროს, წავედი ივერიის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ერთის საათის სავალის მანძილზედ. ჩემთან წამოვიდნენ მღვდელი მ. ალექსი ბაქრაძე, დაბელოვნებული მკითხველი ქართულის ძველის ხელთ-ნაწერებისა და ერთიც გაბრიელ მონაზონი, ბერძნულის ენის მცოდნე. წირვის მოსმენის შემდეგ წინამძღვარი ვერა ვნახეთ, უძლურად არისო, და პირდაპირ წიგნთსაცავში შევედით. წინ გვიძღოდნენ იღუმენი, სრულიად ახალგაზრდა კაცი, პროიღუმენი და მღვდელმონაზონი ბერძენნი; გააღეს დაკეტილი შკაფი, გადმოიღეს რამდენიმე ქართული წიგნი, რომელთაც მეცნიერებისათვის არა ვითარიმე მნიშვნელობა არა აქვთ. მოვიკითხე კატალოგი ქართულის წიგნთსაცავისა, რომელიც არ აღმოჩნდა შედგენილი. მდაბიო მედუქნეს აქვს შედგენილი სია თავისის საწვრილმანოსი, და ამათ კი სასულიერო საუნჯის სია ჯერ არ შეუდგენიათ, ამისათვის რასაც თვალითა ვხედავთ, ის წიგნები გადმოვაწყობინე. შემდეგ ვთხოვე ეჩვენებინათ ძველი ქართული სახარება და დაბადება. გადმოიღეს სახარება მხატვრობით, ტყავზედ დაწერილი, რომელსაც მრთელი თაბახები ჰქონდა ამოჭრილი სურათებით. შევნიშნე, ასე ბარბაროსულად როგორ ეპყრობით ამისთანა წიგნებსა? იმათ მიპასუხეს: რუსის მეცნიერმა პორფირ უსპენსკიმ ამოსჭრა ჩუმად ეს სურათებიო. შემდეგ გადმოიღეს ქართული დაბადება, გადმოვშალე პირველი კაბადონი, წავიკითხე, რომ იგი დაიწყობოდა შექმნათა წიგნის 12 თავით, 11 მუხლიდგან. გადმოვფურცლე ბოლო, რომელსაც აქვს ზედ წარწერილი, რომ იგი გადაწერილია ქორონიკონსა რჲ, 978 წელსა. გადავათვალიერე შუაში და აღმოჩნდა, რომ შიგ მრავალი თავები აკლია სრულიად. ერთის სიტყვით, სრული დაბადება არ არის. მაშინვე დავრწმუნდი, რომ ეს დაბადება ამ ივერიის მონასტრიდგან მოიტანა პლატონ იოსელიანმა 1848 წ. ქ. ტფილისს. აქ გადასწერეს ორი ცალი ამ დაბადებისა, ერთი სიონის საკრებულო ტაძრისათვის მიტროპოლიტის ისიდორეს ბრძანებით და მეორეც სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის სურვილისაებრ, და ეს ძველი დაბადება უკანვე მიაქციეს ივერიის მონასტერში. ორივე პირნი ამ დაბადებიდან გადმოწერილი ჩემს ხელში იყო 1894—1896 წლებში, როდესაც სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის მონდობილებით ვასწორებდი დაბადების პირველ წიგნებს.

ეს დაბადება, რომელიც შეადგენდა საკუთრებას ნეტარხსენებულის მთავრის დადიანისას, მისს მემკვიდრეთაგან შეწირულია ეხლა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ. მე ვუთხარ ბერძენს იღუმენსა: ამ დაბადებას მე კარგად ვიცნობ და მოკლედ მოვუთხარ ისტორია დაბადებისა. მერე მოვსთხოვე, მაჩვენეთ დაბადება, რომელიც თვით წმ. მამის ევთიმისაგან იყო თარგმნილ ბერძნულის ენიდგან. მათ მიპასუხეს, რომ ამაზედ მეტი დაბადება არ მოიპოვება აქაო. მე განვაგრძე: წმ. ევთიმის ცხოვრების აღწერაში არის მოხსენებული, რომელ ახლად უთარგმნია მას ქართული დაბადება. მიპასუხეს,—არ არის სხვა დაბადებაო. მე შევნიშნე: ამისთანა დიდებულს, ძველს მონასტერს არ შეიძლება, რომ არ ჰქონდეს ძვირფასი სახარება და დაბადება, და სალმრთონი ჰურჰელნი, მიპასუხეს: ერთხელ დაიწვა ქართული წიგნთ-საცავი და მეორედაც მოიპარეს ექვსი ჯორის საპალნე ძველი ქართული წიგნებიო, და რაც გადარჩა, ეს არისო. მე ვუთხარი: ერთგულნი მცველნი არა ყოფილხართ, როდესაც დაკეტილ ეზოდგან, დახშულის ციხიდგან

საზოგადოებას უნდა გაელო, ხოლო ას-ოცი—სკოლების დირექციას. ეს შენობა ჰღირს არამც თუ ორას ორმოცად, არამედ ოთხას თუმნადაც.

ჩვენსკენ წელს ძალიან ადრე დაიწყო დიდი ზამთარი. 16 ნოემბრიდგან დაწყებული თითქმის მთელი კვირის განმავლობაში მოდიოდა თოვლი და ერთ ადლამდე დასთოვა; ამას ზედ ქარ-ბუქი და ბოლოს თოვლ-ჭყაპი დაერთო. ეხლაც საშინელი არეული ამინდებია: ხან თოვს და ხან სწვიმს. დიდი ზარალი მოუტანა ხალხს ამ ზამთარმა: ქარ-ბუქის დროს ბევრი ადამიანი დაიხრჩო: სამი სოფ. ღვივიხევისაკენ და ერთიც—მოსიაგანში.

*** რედაქციამ მიიღო მე-IX ნომერი აკაკის ჟურნალ კრებულისა. შინაარსი ამ ნომრისა: პირველი განყოფილება. 1, განცხადება რედაქციისაგან. 2 ახლანდელი სიზმარი—აკაკისა. 3, განდეგილი—ლექსი მისივე. 4, გვარამაძის ოჯახი (მოთხრობა)—თ. ხუსკივაძისა. 5, კრიტიკული შენიშვნები—ხომლელისა. 6, წერილი ჩერნიგოვიდგან—თ. ზეგ. დავ. 7, ბ. კიტა აბაშიძე და მისი ფარ-ხმალი—საზღვარ-გარეთელისა. 8, ქუთაისის სამეურნ. სკოლ. გამოფენა—მიცანისა. 9, გუჯარი—ჰ. კ-სა. 10, პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად—ა. ხახანაშვილისა. მეორე განყოფილება: 1, სოფ. ქვიტირი, ზეჰ.-გარდ. ხალხის ჩვეულ.,—წარმოდგენილი დ. ავალიანის-მიერ. 2. მოხუცა ნავეზირალის რჩევა (არაკი)—ჩაწერილი „ქართველ ოსებში“-ს მიერ.

## წერილი ლეჩხუმიდგან.

ლეჩხუმში უმეტეს ნაწილად მისდევენ ხვნა-თესვას და მევენახეობას; შინაური საქონლის მოშენებას-კი აქ ყურადღებას არ აქცევენ, და არც მეაბრეშუმეობას ჰკიდებენ ხელს, თუმცა-კი ამ საგანს ბევრის სარგებლობის მოტანა შეუძლიან ლეჩხუმისათვის. ლეჩხუმში სხვა და სხვა გვარი ვაზია და, თუ ავადმყოფობამ არ დააბრკოლა, კარგი მოსავალიც იცის. საუკეთესო ღვინოები დგება სოფ. ოყურეშსა, ორბელსა, ჩხუტელსა, ტვიმში და სხვაგან. წლეულს ლეჩხუმში ღვინის მოსავალი შარშანდელზედ უკეთესი იყო და კარგის ღირსებისაც არის. დოხა *) ღვინო ლეჩხუმში ჰფასობს 2—3 მანეთამდე.

ლეჩხუმლები უმეტეს ნაწილად სთესავენ სიმინდსა და პურს. სიმინდმა წინა წლებში, ესე იგი ამ 8—9 წლის წინად, კარგი მოსავალი იცოდა და სვანებისთვისაც სასარგებლო იყო ეს, ამ ბოლო წლებში-კი, და ნამეტურ წლეულს მოსავალმა თვალსაჩინოდ იკლო და გლეხის „ნალია“ (სასიმინდე) არ გავსილა. მოუსავლობის მიზეზი იყო გამუდმებული გვალვა. პურმაც არ იცის აქ ურიგო მოსავალი და სთესავენ ყოველ მეორე წელიწადს, ე. ი. წლეულს რომ სიმინდს დასთესავენ, იქ მერმისს პურსა. შინაურის საქონლის მოშენებას არ მისდევენ მაინცდა-მაინც. გლეხის ოჯახში თქვენ შეხვდებით: ერთს ან ორს უღელს ხარს, ორიოდე ძროხას, სამიოდე ცხვარსა და ამდენსავე ღორსა. ფრინველებში აშენებენ ქათამსა, ინდაურსა და ბატსა.

ლეჩხუმელს კაცს ფული ნაკლებად მოეძებნება: რასაც შოულობს სიმინდისა, ღვინისა და ვაშლის **) გაყიდვით, ან სხვაგან მუშაობით, ის სახელმწიფო ბეგარასა და ბატონის „ნადელს“ ეხარჯება, ასე რომ თითონ არაფერი არ რჩება, რომ, რა არის, ოჯახება შემოსოს რიგიანად. ლეჩხუმელს ფული საიდგან უნდა ჰქონდეს, როდესაც ის არც აღებ-მიცემობას მისდევს და არც ხელოსნობს. ვაჭრობა ლეჩხუმში სომხებსა და ურიების ხელშია.

განათლებით ლეჩხუმი, როგორც თავად-აზნაურობა, აგრეთვე გლეხობაც ვერა სდგას სასურველს საფეხურზედ. არა მგონია, რომელიმე მაზრა იმერეთის გუბერნიისა ლეჩხუმზედ უკან იყოს ჩამორჩენილი სწავლა-განათლების მხრივ. მაგლს მაზრაში ძნელად შეხვდებით უმაღლეს ანუ საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულს.

*) საწყაოა, უდრის 1 ნახევარ ფუთს.

**) ლეჩხუმში კარგი ჯიშის ვაშლი მოდის, მაგ:, თურაშაული, ბერძული ვაშლი, დანა ვაშლი და სხ.

აქ თქვენ ნახავთ რამდენიმე სკოლას და მორჩა და გათავდა. რამდენიმედ ბრალი ამ შემთხვევაში აქაურ მღვდლებსაც ედებათ: მე თითონ ვიცი მაგალითი, რომ მრევლი თხოულობს საეკკლესიო სკოლის დაარსებას, ააგეს კიდეც ამ აზრით შენობა, მაგრამ მღვდელს არა ენაღვლება რა, არა ჰსურს „მეტი ტვირთი იდვას თავზედ“. თუ გინდ ავიღოთ ს. ლაჯანის სამრევლო სკოლის საქმე და ს. ლაცორიის მღვდლის მ. ჰ. გ—ის დაუდევრობა. ს. ლაჯანის მრევლში ხალხმა ააგო სკოლისათვის შენობა, მაგრამ, როგორც თითონ ამ სოფლის მკვიდრთაგანნი ამბობენ, მღვდელს „არა ჰსურს“ და ს. ლაცორიაში კი იმდენი ბავშია სასკოლო ასაკისა, რომ ერთს კი არა, ორს სკოლასაცკმაავსებს, მაგრამ...

მახე ბაჰ.

# უცხოეთი

## ინგლის - ტრანსვაალის ომი.

ტრანსვაალის მთავრობამ გარდასცა უცხო სახელმწიფოთა კონსულებს პრეტორიაში, გენერალ ჟუბერის მიერ გამოგზავნილი, შემდეგი საყურადღებო განცხადება:

„ჩემ მიერ გამორკვეულ არის შემდეგი უტყუარი ფაქტები:

1) გენერალ კოკას ჯარზედ იერიშით მისვლის დროს ელანდსლააგტესთან, განათლებულ ინგლისის ერის ჯარის კაცებმა პირველად ზარბაზნები დაუმიზნეს „წითელ ჯვრის“ ბანაკს, თუმცა ის მეტად კარგად განირჩეოდა; 2) იმათ მოჰკლეს ერთი ექიმი, რომელსაც ჰქონდა ყველასათვის ადვილად შესამჩნევი ნიშანი „წითელის ჯვრისა“; 3) ტყვედ წაიყვანეს-რა 18 ბური, ესენი მიაბეს გრძელსა და მსხვილს ჯამბარას, რომელიც მაქსიმეს ზარბაზანზედ იყო მიმაგრებული; ზარბაზანი ამათ თან მიათრევდა, რის გამოც ორი ტყვე სასიკვდილოდ დასახიჩრდა; 4) დენდიდგან გაქცეულმა ინგლისის ჯარის-კაცებმა გაარღვიეს თეთრის ბაირაღით, რათა შესძლებოდათ შეერთებოდნენ თავიანთს ჯარს და შემდეგ ისევ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლაში; 5) საომრად გამაგრებულმა მატარებელმა ისარგებლა თეთრის ბაირაღით, რათა დანგრეულ ხიდთან მისვლა შესძლებოდათ და ისევ შეეკეთებინათ ის; 6) ბრიტანიის მთავრობის წარმომადგენელი დღეში 5 შილინგად ქირაობდნენ ცხენოსან ბაზუტებს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად.

საშინლად მიმაჩნია ყოველივე ეს ამბავი კაცობრიობის მთელს განათლებულ ქვეყნიერობას, რადგან ასეთი საქციელი ინგლისელებისა არღვევს ჟენევის ხელშეკრულობას“-ო.

ამ განცხადებას ტრანსვაალის მთავრობამ მიაკრა შემდეგი ცირკულიარი:

„რესპუბლიკის მთავრობამ ცნობა მიიღო გენერალ ბოტისაგან, რომ მეფეკინგის მახლობლად ბრძოლის დროს, ინგლისელების რაზმში 100 კაფრი ერია. ერთი კაფრი დაჭრილ იქმნა და ტყვედ ჩაგვივარდა ხელში. ამ ამბის გამო, რომელიც აღმოსავლეთ საზღვრებიდგან მოგვივიდა, სადაც ინგლისელები ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევენ კაფრებს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ბრიტანიის მთავრობა ბოროტ-მოქმედებს, რაიცა ეწინააღმდეგება ცივილიზაციის ყველა კანონს, რადგან ის (ინგლისის მთავრობა) ამხედრებს და აქეზებს ველურებს თეთრ განიანების წინააღმდეგ და ძალას ატანს მათ მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში, რომელიც ასე უსამართლოდ აუტეხეს ტრანსვაალს. რადგან ინგლისელების ასეთს მოქმედებას, შეიძლება, მეტად ცუდი შედეგი მოჰყვეს აფრიკის ყველა თეთრ განიანებისათვის, ამიტომ გთხოვთ აცნობოთ ეს ამბავი თქვენ-თქვენს მთავრობასო“.

## დამავყარდა

დედაკაცსა და მამაკაცს შორის მეგობრობა ძნელი საქმეა; ხოლო შეიძლება-კი მაშინ... როდესაც ერთმანერთისაგან შორს არიან.

ა. სუვორინი

***

თუ ხარ სახელოვანი, თანამდებაც ხარ აღიჭურვო არგნითა მკვრივით და მწყსო სამწყსო შენი სიტყვიერი და არა წარიტაცებინო მხეცსა მძვინვარესა არცა ერთი კრავი გინა ცხოვარიცა, მთელიდი უკან მკელობელობითა თვისით.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონის მაღალის საზოგადოების მანდილოსანნი ამ ჟამად დიდ ზრუნვასა და საქმეში არიან. ამ მანდილოსანთ აზრადა აქვთ გამართონ ძაღლებისაგან შემდგარი ბრიგადის გამოფენა. შემოსავალი გამოფენისა გადადებულ იქმნება სამხრეთ აფრიკაში მეომარ ინგლისელთა სასარგებლოდ. ბრიგადაში ისეთ გამოჩენილ მანდილოსანთა ძაღლებიც იქმნებიან, როგორიც არიან ჰერცოგინია ბერტფორტისა, ლედი ლენნოქსისა, ლედი დარნლეისა, ლედი ვოლსლეისა და სხვანი. ბრიგადა შემდგარი იქმნება ერთის რაზმის კავალერიისა; საარტილერიო ბრიგადისა და რვა ქვეითა რაზმისაგან. ლორდ ვოლსელის ძაღლი ფელდმარშლად იქმნა დანიშნული. გამოფენას უთუოდ ბევრი ხალხი მიეტანება, რადგანაც იმ კლუბის თავმჯდომარედ, რომელიც ამ გამოფენასა ჰმართავს, უელსის ჰერცოგია.

***

ამ დღეებში პარიჟში დააარსეს ზნეობის სასწავლებელი. სასწავლებელი მოთავსებულია იმავე სახლში, სადაც ჟურნალისტთა სკოლაა. მასწავლებლებად მიწვეულნი არიან საუკეთესო პროფესორები უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესს სასწავლებლისა. სხვათა შორის წაიკითხავენ შემდეგ ლექციებს: პროფეს. ჟაკ ბონზონი—„დედაკაცი“, პროფესორი დელბიე—„ზნეობა პოზიტივიზმის აზრით“, პატერი ვაგნერი—„სიკეთე“ და სხვანი.

***

ვარსკვლავების ჩამოცვენის და „მეორედ მოსვლის“ გამო პირველ ნოემბერს ქ. დონის როსტოვში შემდეგი ამბავი მომხდარა. ამ „მეორედ მოსვლას“, სხვათა შორის, ერთი ქვრივი, გვარად კ—აც მოელოდდა თურმე. ამის გამო ქვრივს განუზრახავს წვას დაგვით და ვაი-ვაგლახით შეგროვებული 200 მანეთის მათხოვრებისთვის დარიგება. სიძეს ქვრივისას, გაუგია რა ეს ამბავი, მიუმართავს სიდედრისთვის და უთქვამს, მაგ ფულს მათხოვრებს-კი ნუ დაურიგებ, მე მომეციო, რადგანაც მეც ღარიბი ვარ და გარდა ძაგისა ჩემისთანად შენის სულისთვის არავინ ილოცავსო. ქვრივს, უთუოდ „მეორედ მოსვლის“ მოლოდინით დავთრები დაჰბნევია, დაჰვიწყნია, რომ თუ მეორედ მოსვლა იქმნება, სხვებთან ერთად იმის სიძეც

---

იპარავენ რაოდენსამე საპალნე წიგნებსა და თქვენ ვერ გიიგეთ. ეს ცხადია დღესავით, რომ მოპარული კი არა, არამედ გასყიდულია მათგან. ამის გამონს ცეცხლი ამეგზნა გულში, ჩვენს წმ. მამათა სისხლითა და ოფლით ნაშრომს სულიერს საუნჯეს ასე ბარბაროსულად წარიტაცებენ. უფრო ადამიანურად მოიქცა ომარ ხალიფი, როდესაც დაიპყრო იერუსალიმი მეშვიდე საუკუნეში და არ ინება მაჰმადის წესზედ შესრულება ნამაზისა ქრისტე მაცხოვრის საფლავის ტაძარში, ვიდრე ეხლა ბერძენთა მონაზონნი ეპყრობიან ჩვენს წმ. მამათა სამკვიდრებელს.

დანაშთენი წიგნები სრულიად გადავათვალიერეთ, მომეტებული ნაწილი ეტრადზედ დაწერილი მოძღვრებანი და თარგმანებანია (განმარტებანი) წმ. მამათა ვასილ დიდისა, გრიგორი ღვთისმეტყველისა, გრიგორი ორმეტყველისა, იოანნე ოქროპირისა, ეფრემ ასურისა, დოროთეოს, იოანნე სინაელისა კლემექსის ალმწერელისა. ამათაც ზოგს თავი აკლია, ზოგს ბოლო. აქ უნდა შევნიშნო, რომ ივერიის მონასტრის ქართველთა ღირსად მოსახსენებელთა მამათა არცა ერთი თხზულება სულიერის შინაარსისა და ფილოსოფიურიც არ დაუტევებიათ, რომ არ გადმოეთარგმნოთ ბერძნულის ენიდგან ქართულად.

ქართველთა ათონის სავანეს ძმანი სთხოვენ გადასაწერად ამ წიგნებიდგან და ამითაც არ აკმაყოფილებენ მათს საღმრთო სულიერს წყურვილს. ამ გულის შემაშფოთებელის სურათის ხილვის შემდეგ თითონ დაგვითხოვეს, ანუ უკეთ ვთქვა, გამოგვდევნეს; ჩვენი სადილის დროა და აქედგან გაბძანდითო. მივუბრუნდი ქართველთა ძმათა და ვუთხარ მ. ალექსი მღვდელსა და გაბრიელ მონაზონს: ძმანო! ჯიბენი უჩვენეთ კარგად ამ ზედამხედველთა, რათა არ იფიქრონ, რომ მოვიპარეთ რამე ამ მონასტრის წიგნთ-საცავიდგან. ამათაც ნამდვილ გადმოიბრუნეს ცალიერი ჯიბენი. ამ წიგნთ-საცავის გადახილვის დროს დაესწრო ერთი პროიღუმენი დანიელი, რომელიც კარგად ჰლაპარაკობს ქართულად, რადგანაც საქართველოში ნამყოფია და ქართველის ერის პურადობა გამოუცდია; იმანაც-კი არ მიგვიწვია, რომ სიცხისაგან დამაშვრალთა ყელი ჩაგვესველებინა ერთი ჭიქა ღვინითა. ქართველთა ძმათა ათონის სავანეს ბერძენნი სთხოვიან კელლიად; აქაურის წესით ქართველთა ძმათ არ შეუძლიანთ ჰყავდეთ მომეტებულ სამ მღვდელ-მონაზონისა, ნება არ მისცა ივერიის მონასტრის კრებულმა ქართველ ძმათა სავანეს, რომ გუმბათი დაადგან ეკკლესიას. მონასტრის შიგნით ეზოში ბერძნის ბერებმა, ვითარცა ხატის მბრძოლთა, აუგლიჯეს ქართველებს ხატი წმ. იოანნე ღვთისმეტყველისა. ნებას არ აძლევენ ქართველთა ძმათ შემოიყვანონ წყალი მილით ეზოში. ეზოში ეს მცირე ნაკადული, მზჱედ მომდინარე, ჰშრება, პირუტყვნი აუწმინდურებენ. ამ გვარს შევიწროებაში არიან ქართველნი ძმანი ბერძენს მონაზონთაგან, და ყოველსავე ამას სულგრძელებით ითმენენ. ამ საუკუნის დასაწყისს, როდესაც საქართველოში არეულობა იყო, ძალ-მომრეობით გამოსდევნეს ბერძენთა ჩვენნი ძმანი ქართველნი და დაიპყრეს, ვითარცა ავაზაკთა, ჩვენი დიდებული ივერიის მონასტერი.

აი ასეთი დამოკიდებულება ასებობს ივერიის მონასტრის ბერძენთა და ქართველთა სავანის ძმათა შორის. და როდის უნდა გასწყდეს ეს დაჭიმული ნასკვი გორდისა? დროა კვალადცა განვაახლოთ ჩვენი შუამდგომლობა რუსეთის უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომლისა შვილებად ვირიცხებით და ვართ ერთგულნი ქვეშევრდომნი რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისა. პირუთვნელი ისტორია სხვა-და-სხვა საუკუნეთა მწერალთა მოგვითხრობს, ქვანიცა ღაღადებენ, რომ ათონის ივერიის მონასტერი ქართველთა ძმათა სამკვიდრებელია; ამას ჰმოწმობენ და ამტკიცებენ მრავალნი სიგელ-გუჯარნი და გრამატანი ბიზანტიის კეისართა, ქართველთა მეფეთა და პატრიარქთა. ცხადია, ბერძნები ამას თავის ნებით არ გარდმოგვცემენ. ერთი საშუალება-ღა დაგვრჩენია: რუსეთის მთავრობამ კეთილ ინებოს გამოსარჩლება თავისის ერთგულის ქართველთა ერისა და შეუკრას შემოსავალი მამულებისაგან, რომელიც მდებარეობს საქართველოსა და რუსეთში და შეუწირავთ ივერიის მონასტრისათვის ქართველთა მეფეთა და მთავართა, და შემდეგ რუსეთის ხელმწიფეთა. ასე მოიქცა რუმინიის მთავარი, რომელმაც 1860 წლებში სრულიად ჩამოართვა ბერძენთა მონასტრებს თავისს სამეფოში მდებარე მამულები. ამ სახედვე მოიქცა რუსეთის მთავრობა 1870 წლ. ბესსარაბიაში, სადაც 120 ათასის მანეთის შემოსავლიდგან წელიწადში, მხოლოდ ნახევარს აძლევენ ბერძენთა მონასტრებს. ეს ამბავი მოხდა ბესსარაბიაში მღვდელ-მთავრობის დროს მთავარ-ეპისკოპოზის პავლესა, შემდეგ საქართველოს ექსარხოსისა; მეორე საშუალება, ჩემის აზრით, ეს არის: ქართველნი ძმანი მიღებულ იქმნენ ივერიის მონასტერში თანაწორის უფლებით ბერძნებთა თანა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყოველთვის მიუცილებელად წინამძღვარი მონასტრისა და ეკონომოსი ეგრეთვე ამოირჩეოდნენ ქართველთა ძმათაგან, რადგანაც ივერიის მონასტერი ქართველთა სამკვიდრებელს შეადგენს; ერთს ეკკლესიაში განუწყვეტელად ქართულად შესრულდებოდეს ღვთისმსახურება, ხოლო მეორეში—ბერძნულს ენაზედ, ვითარცა ვხედავთ ამ გვარს დამოკიდებულებას პანტელეიმონის მონასტერში რუსთა და ბერძენთა მონაზონთა შორის.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ილწობელი

(შემდეგი იქნება)

დაილუპება, და წინა დღეს თავისი 200 მანეთი გადაუცია სიძესთვის. „საშინელმა ღამემ" მშვიდობით გაიარა, და მეორე დღეს ქვრივს მიუმართავს სიძესთვის და თავისი 200 მანეთი უკანვე უთხოვნია, რადგანაც „მეორედ მოსვლა" არ გამართლდაო. მაგრამ სიძეს გადაჭრით უთქვამს, ფულს აღარ დაგიბრუნებ, ჩემი რა ბრალია, რომ მეორედ მოსვლა არ იყო, მე უკვე ვილოცე შენი სულისათვისაო. სიძე-სიდედრი ლაპარაკს შეჰყოლიან, ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა და ბოლოს საქმე სასამართლომდე მისულა.

## ქაჯის ამბავი

(წერილი შორაპნის მაზრის სოფ. მუხურიდგან)

თუმცა მეცხრამეტე საუკუნე თავდება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, აქა-იქ ჩვენს სოფლის ხალხში კიდევ ვერ ამოფხვრილა ცრუ-მორწმუნეობა და ისე სწამთ ქაჯი, ეშმაკი, ჭინკა და მათი ცუდი გავლენა ხალხზედ, როგორც სხვა რაიმე ჭეშმარიტება. ენკენისთვის დამლევი იყო, სოფელში რომ მიველი და ახალ ამბად ის დამახვედრეს, რომ ვ. ე—ძისას ღამ-ღამეობით ქაჯი მოდის, ქვას ესვრის სახლს და მთელი ღამე მოსვენებას არ აძლევს, რის გამოც მთელი ოჯახი შეშინებულია. მზე ჩაესვენება თუ არა, დიდი და პატარა სახლში არიან შეკეტილი, გარედ გამოსვლას ვერ ჰბედავენ; თუმცა ყოველ ღამე დარაჯი ჰყავთ, მაგრამ ვერა გააგეს-რაო. გადავწყვიტე იმ ღამესვე წავსულიყავ და გამეგო ამ საქმის ყოველივე გარემოება. დაღამდა თუ არა, წაველი და თან წავიყვანე ადგილობრივი მღვდელი მელქისედეკ აბესაძე. შევედით თუ არა ე—ძის ეზოში, წინ მოგვეგება თითონ ვ. ე—ძე. ნახვისათანავე მშვიდობა ვკითხეთ ერთმანეთს.

— რაღა მშვიდობა, განაცვალე!— მომიგო მან,—ცოცხალი რომ აღარ ვიყო, მირჩევნია; ეს ორი კვირა არის, რაღაც ეშმაკი შემომეჩვია, ყოველ ღამე მოდის და ქვას ესვრის სახლს. შიშით აღარა ვარ. არ დავეძებ ჩემს თავს, მაგრამ ბავშვები გადამირივნენ. როგორც ჰხედავთ, აი, ასე საცოდავად სტირიან და ცახცახებენ მთელი ღამე.

მართლაც, შევედით თუ არა ოთახში, ვნახეთ, რომ ბავშვებს ოთახის კუთხეში თავი მოეყარათ და შიშისაგან აბუზულები ერთმანეთს უცქეროდნენ. ბავშვებმა, ჩვენს დანახვაზე, მხიარული სახე მიიღეს, ერთმა მათგანმა (უფროსმა ქალმა) ჰკითხა მღვდელს:

— ბატონო, თქვენ აქ იქნებით ამაღამ?

— აქ ვიქნები,—მიუგო მღვდელმა, ნუ გეშინიანთ, არავინაც არ მოვა, ტყუილად გეშინიათ, ვიღაცას შეუშინებიხართ ხუმრობით, რომ ღამ-ღამე სხვის ბაღში ვაშლები არ მოიპაროთო.

— არა ბატონო, რის ხუმრობით; აი გუშინ, როცა ღამე ლოგინი უნდა გამეშალა მამისათვის და აქედგან ბალიშს ვიღებდი, ამ გატეხილ ფანჯარაში ვიღაცამ ხელი შემოჰყო და ქვა მესროლა, ქვა ამცდა და კედელს მოხვდა. აი როგორ აჩნია!

მართლაც კედელს ქვის მონახვედრი კარგად აჩნდა.

— მაშ ამაღამ მე ვიქნები აქ და ისროლოს კიდევ,—ვუთხარი მე.

— კარგი, თქვენი ჭირიმე, კარგი,— საბრალო ხმით წამოიძახეს ერთბაშად ბავშვებმა.

ამ სიტყვების შემდეგ გარედ გამოვედით, სადაც ოცამდე მეტს შეიარაღებულ კაცს მოეყარათ თავი. ყველას სალაპარაკოდ ის ჰქონდა, თუ რა არის და ვინ ისვრის ქვასო. რა არის ღმერთმანი, საკვირველია, რა ისვრის ქვას? სთქვა ერთმა.

— დასწყევლოს წმიდა გიორგიმ!— მიუგო მეორემ. ამ კაცს-კი მოსვენებას არ აძლევს და ღამის არის ბავშვები არ გადაურიოს შიშითა; ტყის კაცი უნდა იყოს, მაშ რა იქნება. შარშან სიმონეთში არ იყო მაგალითი, რომ ასე მიდიოდა ვიღაც ღამე და ქვას ესროდა ჭ—ძის სახლს? ერთ ღამეს ჭ—ძემ დაიჭირა და ქაჯი გამოდგა; ბეღელში დაამწყვდია და თითონ მეზობლებში გაიძახა ყვირილით — „მიშველეთ, ქაჯი დავიჭირეო!" მეზობლები მოცვივდნენ, მაგრამ ბეღელში აღავინ იყო, გაპარულიყო ის წყეული დაკეტილ ბეღლიდგან. მეორე დღეს ის ჭ—ძე ჭკუაზედ შეიშალა შიშით.

— მაგისი რა მოგახსენო და ეს-კი მართალია,—წამოიძახა მესამემ,—რომ ჩემი სიმამრის მეზობლის ბავშვს შარშან ქაჯმა კოკა გაუტეხა წყაროზედ და ენა ჩავარდნილი ბავშვი შინ ძლივს მოაბრუნეს.

— კი ბატონო, კი, ნამდვილად არის რაღაცა წყეული, დასწყევლოს წმიდა გიორგიმ!—წამოიძახეს ერთხმად.

ეს ლაპარაკი ყველა ესმოდა სახლის პატრონს და მის ბავშვებს. ისედაც შეშინებულ ბავშვებს ამით კიდევ უფრო გული უხეთქდნენ. მე გულმა აღარ მომითმინა და გაჯავრებულმა შენიშვნა მივეცი ხალხს, რომ მაგისთანა ცრუ ამბებით ბავშვებს ნუ აშინებთ და... მაგრამ გამაწყვეტინა სიტყვა მღვდელმა, მოთმინებიდგან გამოსულმა, რომელმაც მოკლედ და მდაბიურად აუხსნა მათ მათი აზრების სიცრუე. რვა საათი იქნებოდა, როცა ლაპარაკი გავაწყვეტინე ყველას და გარედ გამოვიყვანე სადარაჯოდ. ხალხი სახლს გარშემო შემოვარტყი სამასოთხას ნაბიჯის მანძილზედ. მე-კი იქ ჩავესაფრე, საიდგანაც, ხალხის სიტყვით, ქაჯი მოდიოდა. ჩემთან იყო აგრეთვე სახლის პატრონი. სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი, მინდოდა დამერწმუნებინა ისინი, რომ არავითარი ქაჯი არ მოდის და ყველაფერი ტყუილი იყო. ბნელი ღამე იყო, არსაიდგან არავითარი ხმაურობა არ ისმოდა. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი, რაღაც ლაწა-ლუწი შემომესმა, თითქოს ლობეზედ ვიღაც გადმოხტა ჩვენ უკანო. არიქა, მიშველე, მითხრა სახლის პატრონმა, სწორედ ეხლა მოდის ის წყეული. მე ბევრი აღარ მიფიქრია. მუცლის ხოხით გავეშურე ლობისაკენ. ძლიერ ბნელოდა; პირველად ვერაფერი გავარჩიე, მაგრამ მიველი თუ არა ახლოს, ვნახე, რომ მეზობლის ძროხა, რომელიც ღამე გარედ დარჩენილიყო, ლობეს ეფხანებოდა. გამეცინა და უკან დავბრუნდი. დიდხანს ვუდარაჯე კიდევ, არსაით აღარაფერი არ ისმოდა. მოვშორდი ჩემს ამხანაგებს და ერთი დარაჯიდგან მეორესთან გადავდიოდი. ბოლოს მივადექ მოხუცებულ ბიძაჩემს, მეელად გამოჩენილს მონადირეს. ბიძა ხის ძირს მიმალულიყო, თოფი მოღერილი ჰქონდა და რაღაცას უჭვრეტდა. მაცა-მაცა, მითხრა მან ჩუმად, თოფი რომ გავარდეს, უკან მომყევი. თოფმა ერთბაშად იჭექა და ბიძაჩემი წინ გაეშურა- ღამეში თვალს მოეტყუებინა და სახლის პატრონის ძაღლი, რომელმაც შორი-ახლოს გაურბინა, ქაჯი ეგონებოდა. საწყალმა ძაღლმა სული იქვე დალია. თოფის ხმაზედ არეულობა შეიქნა, მომესმა, რომ ქვამ ბრახუნი მოადინა სახურავზედ. შეიქნა ყვირილი, ასტყდა თოფისა და დამბაჩების სროლა, გეგონებოდათ,—ყარსის ციხეს იღებენო. ვის ესროდნენ, ან ვინ იყო? არავინ, ერთმა დარაჯთაგანმა, რომელმაც არეულობით ისარგებლა, ქვა ჰკრა სახლს; ყველანი-კი გაკვირვებით ჰკითხავდნენ ერთმანეთს: „რა მანქანება არის თქვენი ჭირიმე! ვინ იყო, საიდგან ისროლა ქვაო?" ხომ დარწმუნდით, ბატონო, მითხრა ერთმა დარაჯმა, რომ არ გჯეროდათ?

— დიახ—მივუგე მე,—დავრწმუნდი, რომ ახლობელი ყოფილა ქაჯი. აბა ხვალ კიდევ მოდი, მხოლოდ შენ იმათ ნუ წაიყვან, რომელნიც დღეს არიან. აბა ვნახოთ, თუ ვინმე მოვიდეს.

მეორე ღამეს კიდევ იყვნენ დარაჯები. ყოველ ღამეს იცვლებოდნენ მთელის სამის კვირის განმავლობაში, ვიდრე მე სოფელში ვიყავი. მშვიდობიანად ჩაიარა სამმა კვირამ: არც ქვა ვისმეს უსვრია და არც ჯოხი. როგორც დაწვრილებით გავიგე ბოლოს, საქმე, აი, როგორ ყოფილა: სახლის პატრონი ე—ძე ქვრივი არის, მეზობელს ეჭვი აქვს, რომ ის ხშირად ჩემსას დადის, როცა მე შინ არა ვარო, და ერთად ერთ საშუალებათ დამდამობით ქვის სროლა მოუგონებია, რითაც ფეხი აეკვეთინა დაუპატიჟებელს სტუმარს.

ავქსენტი აბესაძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი

**მოსკოვი.** გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოი ჯერ კიდევ ავად არის. ტემპერატურა ნორმალური აქვს. ავადმყოფი სუსტად არის და წევს.

**პეკინი.** „ვოლფის სააგენტო". აქ გამოწვეულის შანდუნის გუბერნატორის მოადგილედ დანიშნულ იქმნა გენერალი იუან-ში-კაი, რომელიც რეზიდენტად იყო კორეაში, იგი პროგრესის მომხრეა. ჰფიქრობენ, რომ ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი შანდუნის პროვინციაში აჯანყებას მალე დააშოშმინებს.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა დეპეშა აფიცრისა, რომელიც კაპშტადტში უფროსობს: „გენერალ გატეკრის მახლობლად მოწინააღმდეგესა ჰყავს: დორდრეხტში—800 კაცი, ჯემსტოუნის მახლობლად 700 კაცი 6-ის ზარბაზნით, სტორმბერგში—1,500 კაცი, სუტერფონტეინში დიდი რაზმი და 400 კაციც მოლტენოში.

გენერალი ფრენჩი იუწყება, რომ ინგლისის ჯარმა დილით ნაუპორტს თავი გაანება და არუნდელის სამხრეთით გორაკები დაიჭირაო. მოწინააღმდეგის დარაჯნი არუნდელის მეორე მხარეს სდგანან, სამის მილის სიშორეზედ. არტილერიის ერთმა ბატარეამ და ქვეითა ჯარის ბატალიონმა, მოდერ-რივერში გაგზავნილთ, განდევნეს მოწინააღმდეგის რაზმი, რომელიც 1000 კაცისაგან შესდგებოდა. მოკლულ იქმნა ინგლისელების მხრით ერთი კაცი, ხოლო დაიჭრა 14 კაციო.

28 ნოემბერი

**პეტერბურგი.** რადგანაც გაზეთი „Сѣверный Курьеръ"-ი დაარსებიდგანვე მავნე მიმართულებას დაადგა (ასეთი მიმართულება განსაკუთრებით №№-ს 1 და 21-ში დაბეჭდილ წერილებში გამოხატა), შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზეთ „Сѣв. Кур."-ს პირველი გაფრთხილება.

**კაპშტადტი.** როგორც ორანჟ-რივერიდგან იუწყებიან, ბურებმა დააქციეს რკინის გზის ხიდი მოდერ-რივერიდგან 20 მილის სიშორეზედ. იქ გაგზავნილს მატარებლებს ბურებმა ყუმბარები დაუშინეს. სტორმბერგთან ბურებმა ძნელად მისადგომი ადგილი დაიჭირეს.

**პრეტორია.** „რეიტერის სააგენტო". ამბავი მოვიდა, რომ დღეს დილით ბრძოლა იყო შოლცნეკისა და სპეიტფონტეინის მახლობლად, ინგლისის ჯარმა იერიში მიიტანა კრონის ჯარის ბანაკზედ. იუწყებიან, რომ ბრძოლა სპეიტფონტეინის მეორე მხარეს კიმბერლეისაკენ იყოო.

19 ნოემბერი

**მოლტენო,** 28 ნოემბერი. გატეკრი, რომელსაც თან 2,000 კაცი ჰყავდა და ორი ბატარეა, სტორმბერგისაკენ წავიდა, სადაც ბურებს მეტად ძლიერი სიმაგრე ჰქონდათ დაჭერილი. ბურებმა სროლა დაიწყეს სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისელები სიმაგრეს ქვეშ იდგნენ. სამის საათის განმავლობაში ზარბაზნებით ბრძოლის შემდეგ, ინგლისელები დარწმუნდნენ, რომ სიმაგრე მიუვალი იყო და უკან დაიწიეს.

**ლონდონი,** 28 ნოემბერი. სამხედრო სამინისტრომ გატეკრიდგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ვწუხვარ, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ დღეს დილით მომხდარ შეტაკების დროს სტორმბერგთან უკან დავიწიეთ დიდი ზარალით. მტრის სიმაგრის შესახებ ცრუ ცნობები მოგვიტანეს მეძღოლებმა; ამას გარდა ადგილი საომრად ცუდი გამოდგა".

კაპშტადტის ჯარის-უფროსი იუწყება დეპეშით: „რამდენადაც გამორკვეულია, გატეკრს შემდეგი ზარალი მოსვლია: 9 აფიცერი დაჭრილია, 9 აფიცერი უკვალოდ დაკარგული, 2 მოკლული; ჯარის კაცთაგანი-კი 17 დაჭრილია, ხოლო 596 დაკარგული".

**ლონდონი.** შემდეგის ცნობებიდგან სჩანს, სტორმბერგთან ბრძოლის დროს გენერალ გატეკრს ჯარში უფრო მეტად დაზარალებულან ირლანდიის მსროლელი ჯარი და ჯარი ნორტუმბერლანდიისა. პირველის ჯარის რაზმში მოკლულია 7 აფიცერი და დაჭრილი 12 ჯარის-კაცი, დაკარგულნი არიან 3 აფიცერი და 290 ჯარის-კაცი; ხოლო მეორე რაზმიდგან დაკარგულნი არიან 6 აფიცერი და 306 ჯარის კაცი.

**მოსკოვი.** ავადმყოფი გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი იმავე მდგომარეობაშია.

**მაზერუ.** ორანჟეს რესპუბლიკის გაზეთები სწერენ, რომ ინგლისელთა და ბურების ომის დასაწყისიდგან აქამომდე ბურთაგან მოუკლავთ 200 კაცი და დაუჭრიათ 240.

**ლონდონი.** უაიტი 27 ნოემბერს ოფიციალურად იუწყება: გენერალ გუნტერსა ჰყავანდა 600 ჯარის-კაცი, რომ უცბად თავს დისხმოდა მტერს ლომბადრსკოპის სიმაგრეში. ჯარმა გაიმარჯვა, ბოჯობი დაიპყრო, გაანადგურა ორი ზარბაზანი, წაართვა ტყვია-წამალი და წამოიღო ლედისმიტში. ინგლისელთაგან დაჭრილია ერთი მაიორი და მოკლულია ერთი ჯარის-კაცი.

## წერილი რედაქციის მიმართ

გამგეობა ქართველ ქალთა ამხანაგობისა დიდ მადლობას უძღვნის ი. ს. გოგებაშვილს, რომელმაც 50 რვეული და 15 დედა-ენა შემოსწირა ქ. ქალთა სამკერვალოში მოსწავლეთა სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ქართველ ქალთა ამხანაგობის კნ. ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა.

გამგე ამხანაგობისა ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილისა.


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—46)

### აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მალაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის" პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დონელების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—46) ნ. წერეთელი


Дозволено цензурою. Тифлисъ 29 Ноября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე